



01.01.2018/ ჯგუფის შესაბამისობის ოფიცერი

## ქცევის კოდექსი

### ვიორვაგ ფარმა ჯგუფისათვის

#### პრეამბულა

ვიორვაგ ფარმა ჯგუფი არის საერთაშორისო კომპანია, რომელიც წარმოადგენს საოჯახო ბიზნესს. თავისი პროდუქციის სპექტრით, ვიორვაგ ფარმა ორიენტირებულია გრძელვადიან და მდგრად ბიზნესზე. ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი სიძლიერე ის არის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვართ საოჯახო ბიზნესი, რომელიც მიუხედავად ზრდისა, პასუხისმგებლობას იღებს განვითარებაზე.

ყველაფრის რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ხალხისთვის კეთდება. ეს კი ვიორვაგ ფარმას საქმიანობის დაწყების და საქმიანობის საფუძველი იყო. ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ ღირებულებებს, რომლებიც ნდობაზეა დამყარებული.

პასუხისმგებლობის მიღება, ვალდებულება და საქმის შესრულება ჩვენი კომპანიის იდენტიფიკატორია. ჩვენს თანამშრომლებს დამოუკიდებლად მოქმედების და გადაწყვეტილებების მიღების უფლება გააჩიათ.

ამ ღირებულებების ქონით და მათი პრაქტიკში გამოყენებით, ჩვენი კომპანია გაფართოვდა მსოფლიო მასშტაბით. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი კომპანიის ისტორიით. ჩვენ გავიზარდეთ შტუტგარტ-ცუფენჰაუზენის ადგილობრივი აფთიაქიდან, ბიოფაქტორების გლობალურ სპეციალისტებამდე. ჩვენი ამოცანაა მაღალი ეფექტურობის მქონე პროდუქციის შემუშავება; რაც სასარგებლოა ხალხის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხისათვის.

ჩვენ ასევე უნდა დავიცვათ ჩვენი კომპანია, თუ გვინდა მომავალში წარმატების მიღწევა. პასუხისმგებლობა, ეთიკურად და კანონიერად სწორი ქმედებები აუცილებელია ვიორვაგ ფარმას წარმატებისთვის. მოპოვებული რეპუტაცია, ჩვენს თანამშრომლებს, აქციონერებსა და ბიზნესპარტნიორებს შორის, ერთ-ერთი პუნქტის დარღვევის შედეგად შესაძლოა სერიოზულად დაზიანდეს.

ამიტომაც კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო ეს ქცევის კოდექსი, რომელიც სავალდებულოა ვიორვაგ ფარმას ყველა თანამშრომლისათვის. ქცევის კოდექსი ხელს უწყობს მის მომხმარებლებს რისკების აღმოჩენაში და შესაბამისად, თავიდან იცილებს კანონის



დარღვევას. იგი ასევე ადგენს ამოცანებსა და მოვალეობებს და ავლენს ამა თუ იმ საქმეზე პასუხისმგებელ პირს.

## **Compliance@WÖRWAGPharma**

შესაბამისობა ნიშნავს გარე და შიდა წესებს. ეს წესები შეიძლება განპირობებული იყოს გარე კანონებით ან განისაზღვროს კომპანიის შიგნით პროგრამებით, პროცესებით და კონტროლით. პასუხისმგებელი, ეთიკურად სწორი და კანონიერი ქმედება ელემენტარული პირობაა ვიორვაგ ფარმას წარმატებისთვის, ისევე როგორც ჩვენი კლიენტების სწორი მიმართულება და ჩვენი პროდუქციის ხარისხი.

შესაბამისობა კომპანიის მუდმივი წარმატების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. კანონიერი ქცევა იცავს თანამშრომლებს, მენეჯერს და ორგანიზაციას რისკებისაგან. გაურკვევლობის შემთხვევაში სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, ასევე მნიშვნელოვანია შესაბამისობის რისკებისა და კანონის ცოდნა. იმისათვის, რომ რაც შეიძლება ადრე გამოვლინდეს შესაბამისი რისკები და პოტენციურად უკანონო ქმედებები, ვიორვაგ ფარმა საშუალებას აძლევს მის თანამშრომლებს და ბიზნესპარტნიორებს კონფიდენციალურად აცნობონ არსებული დარღვევების შესახებ შემდეგ მისამართზე

**[compliance@woerwagpharma.com](mailto:compliance@woerwagpharma.com)**

ანონიმური შეტყობინებაც შესაძლებელია, რასაც ისეთივე რეაგირება მოყვება, როგორც პერსონალურ შეტყობინებას.

ვიორვაგ ფარმამ შექმნა ჯგუფის შესაბამისობის ოფიცრის პოზიცია, რათა ჯგუფში გამყარდეს შესაბამისობის წესები. ვიორვაგ ფარმა მოუწოდებს ყველა თანამშრომელს, შეატყობინოს ვიორვაგ ფარმას მენეჯმენტის გუნდის წევრებს ქცევის კოდექსის დარღვევის შესახებ, ჯგუფის შესაბამისობის შემფასებელ ოფიცერს ან ეროვნული ორგანიზაციის შესაბამისობის შემფასებელ პირებს.

ვიორვაგ ფარმას თანამშრომლებს მოეთხოვებათ პირადად შეასრულოს კანონები, რომლებიც გამოიყენება მათი საქმიანობის სფეროში. მენეჯერებს ასევე მოეთხოვებათ მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა არ მოხდეს კანონის დარღვევა იმ სფეროში, რომელზეც პასუხისმგებელი არიან. მენეჯერები პასუხისმგებელი არიან ნებისმიერ კანონდარღვევაზე, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა სათანადო ზედამხედველობით. ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს თავისი ამოცანები ისე, რომ ზიანიარ მიაყენოს ვიორვაგ ფარმას მომხმარებლებს, პარტნიორებს და ზოგადად საზოგადოებას.

ქვევის კოდექსი განსაზღვრავს იმ სამართლებრივ ჩარჩოებს, რომლის ფარგლებშიც ვმუშაობთ ჩვენ. იგი განსაზღვრავს ვიორვაგ ფარმას ჯგუფის ქვევის პრინციპებს და ურთიერთობას ჩვენს პარტნიორებთან და საზოგადოებასთან. იგი ასევე განსაზღვრავს ჩვენი საქმიანობის პრინციპებს და გამოხატავს ჩვენს კორპორატიულ ფასეულობებს.

ქვევის ეს ზოგადი წესები არის ჩვენი თანამშრომლების ქვევისთვის განკუთვნილი სავალდებულო ნორმა და ჩარჩო. ჩვენ ველოდებით ყველა ჩვენს თანამშრომელს კონფიდენციალური რჩევებისა და დახმარების მისაღებად, როდესაც ისინი ეთიკური ან სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას იღებენ გადაწყვეტილებებს ან თუ ისინი წააწყდებიან თავიანთ სამუშაო სფეროში ქვევას, რომელსაც თვლიან რთულად ან საეჭვოდ. ვიორვაგ ფარმას მენეჯმენტის გუნდი, ჯგუფის შესაბამისობის ოფიცერი და შესაბამისობის ოფიცრები ეროვნულ ორგანიზაციებში, შეიძლება ერთმანეთს დაუკავშირდნენ.

## **პროდუქტის უსაფრთხოებისა და პროდუქტის ხარისხის გარანტია**

პროდუქციის უსაფრთხოება და ხარისხი პრიორიტეტულია. ჩვენი პროდუქცია მზადდება დიდი ზრუნვით და ექვემდებარება მკაცრი ხარისხის მართვის კონტროლს.

ჩვენ ვამოწმებთ ჩვენს პროდუქციას ბაზარზე. ვითვალისწინებთ ნებისმიერ ინფორმაციას უსაფრთხოების შეცდომებზე და/ან ხარისხზე. საჭიროების შემთხვევაში ჩვენ ვაცნობებთ პასუხისმგებელ ორგანოებს და ვღებულობთ ზომებს ჩვენი მომხმარებლების დასაცავად.

## **სამართლიანი კონკურენცია**

ვიორვაგ ფარმა მიისწრაფის სამართლიანი კონკურენციისკენ. არ უნდა იქნას მიღებული ისეთი ზომები, რომლებიც არასამართლიანი და შეუსაბამოა ფასების შეჯერების ან შეთანხმების მხრივ. ეს მოიცავს გამყოფ ტერიტორიებს ან მომხმარებლებს ან ინფორმაციის გაცვლას კონკურენტებთან მიმწოდებლის ურთიერთობების, პირობების, შესაძლებლობების, ბაზრის სტრატეგიების ან სატენდერო ქვევის შესახებ.

## **საერთაშორისო ბაზარი**

ვიორვაგ ფარმა ყიდის თავის პროდუქტებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. რადგანაც მისი პროდუქცია მზადდება სხვადასხვა ქვეყნებში, მათ უნდა გადალახონ მრავალი საზღვარი მათი საბოლოო დანიშნულების ადგილამდე. ექსპორტისა და იმპორტის კანონები, ისევე როგორც საბაჟო რეგულაციები ყოველთვის მკაცრად უნდა იქნეს შესრულებული.

## **სამუშაო ადგილზე ქვევა /მუშაობის უსაფრთხოება**

ვიორვაგ ფარმას საზოგადოებრივი აღქმა განისაზღვრება თითოეული თანამშრომლის ქვევით. ამის გამო, ჩვენ ველოდებით სათანადო და პატივსაცემ საქციელს როგორც კოლეგების,

მომწოდებლების, თანამშრომლების და მომხმარებლების, ასევე სხვა ბიზნეს პარტნიორების მიმართ.

### თანაბარი უფლებები

ჩვენ მზად ვართ პატივისცემით მოვეპყროთ ერთმანეთს. ჩვენ არ დავუშვებთ დისკრიმინაციას ან შევიწროებას. ჩვენ პატივს ვცემთ მუშაობას და კოოპერატიულ ქცევას მიუხედავად ასაკის, წარმოშობის, სქესისა თუ რასისა. ჩვენ ვაფასებთ მუშაობის შედეგს დამოუკიდებლად და ობიექტურად. პოლიტიკური შეხედულებების, რელიგიური, ფიზიკურ-კონსტიტუციური ან სექსუალურ იდენტურობის გათვალისწინების გარეშე. ჩვენი საქმიანობა კოლეგებსთან, თანამშრომლებთან ხასიათება სამართლიანობით, პატივისცემით და გუნდური სულისკვეთებით და გახსნილობით. ეს პრინციპები ასევე ვრცელდება გარე პარტნიორებთან მიმართებაში.

ჩვენ პატივს ვცემთ და მხარს ვუჭერთ ადამიანის საერთაშორისო უფლებათა დაცვას ჩვენი სფეროს ფარგლებში. ჩვენ უარს ვაცხადებთ იძულებით შრომაზე, ბავშვთა შრომაზე და ყველა იმ საქმიანობაზე, რასაც მოყვება ადამიანთა ექსპლოატაცია.

### არანაირი ნარკოტიკული საშუალებები და ალკოჰოლი სამუშაო ადგილზე

ჩვენ ყოველთვის ვიმოქმედებთ პროფესიონალურად და სათანადოდ. ჩვენი მუშაობა მოწოდებულია მკაფიო აზროვნებისა და ხშირად სწრაფი რეაგირებისკენ; ეს აუცილებელია ჩვენს კოლეგებისა და მომხმარებელთა უსაფრთხოებისთვის. ალკოჰოლი და ნარკოტიკული საშუალებები ხელს უშლის თანამშრომლების მუშაობის უნარს. ამ მიზეზით, მკაცრად აკრძალულია ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება სამსახურში.

### ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

ვიორვაგ ფარმა ჯგუფი ხელს უწყობს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებში ცნობიერების ამაღლებას, მისი თანამშრომლების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. ამ მიზეზით მოწვევა სამსახურში არ არის დაშვებული.

ვიორვაგ ფარმა ჯგუფში არსებული ყველა კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხო და პროდუქტიული სამუშაო გარემო მათი თანამშრომლებისთვის.

## **კორპორატიული აქტივების დაცვა**

ვიორვაგ ფარმა ჯგუფის მატერიალური და ინტელექტუალური საკუთრება დაცული უნდა იყოს ზარალის, ქურდობის და ბოროტად გამოყენებისგან. ჩვენი კორპორატიული ღირებულებები გამომდინარეობს კომპანიის წარმატების, წარსულისა და ხალხის იდეებისა და შემოქმედებითი პოტენციალისაგან. ცოდნის მენეჯმენტმა მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით შეინარჩუნა ეს დამატებითი ღირებულება. გამოგონებებს, პატენტებს, სახელებს,

ბრენდებს და სხვა ნოუ-ჰაუს აქვს განსაკუთრებული ღირებულება. ეს არამატერიალური აქტივები ჩვენი კომპანიის მომავლისთვის უკიდურესად მნიშვნელოვან ფინანსურ დანიშნულებას იძენს და ჩვენ შესაბამისად ვიცავთ მათ. ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ პატივი ვცეთ მესამე მხარის მატერიალურ და არამატერიალურ საკუთრებას და უარს ვაცხადებთ უკანონო არხების მეშვეობით ინფორმაციის შეგროვებაზე.

### კომპანიის ქონება და ობიექტები

ჩვენ პატივს ვცემთ კომპანიის საკუთრებასა და ობიექტებს და ვეპრდრობით მათ დიდი მზრუნველობით. აქტივები და ფული არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკანონო მიზნებისათვის. ჩვენ ვიყენებთ ტექნიკას, მაგ. ტელეფონებს, კომპანიის მანქანებს და კომპიუტერებს, ადგილობრივი ვიორვაგ ფარმა ჯგუფების მითითებების შესაბამისად. კომპანიის თანამშრომლების სარგებლობაში არსებული მოწყობილობები და მათზე არსებული მონაცემები, წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას. კომპიუტერების შეუსაბამო გამოყენება არ შეიძლება. სამუშაო ელ-ფოსტა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას კერძო მიზნებისთვის.

### გაუმჟღავნებლობა

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას. ბიზნესის საიდუმლოება და მომავალი ცოდნა არ შეიძლება გადაეცეს მესამე მხარეს ან უფრო უარესი, გასაჯაროვდეს სამართლებრივი გარანტიების გარეშე. ესენია: მოგებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ფაქტები, მონაცემები და ცოდნა, ახალი პროდუქტები, კვლევისა და განვითარების იდეები, ბიზნეს-მარკეტინგული სტრატეგიები, მომხმარებელთა შიდა ინფორმაცია, პირადი ინფორმაცია, ინვესტიციები და აქციები, წარმოების პროცესები და შიდა სახელმძღვანელოები და პროცედურები, ყველა ინფორმაცია, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს ვიორვაგ ფარმა ჯგუფის ან მისი კონკურენტებისთვის. არცერთმა თანამშრომელმა არ შეიძლება ბოროტად გამოიყენოს ვიორვაგ ფარმა ჯგუფის საკუთრება და საქმიანი ინფორმაცია საკუთარი მიზნებისთვის. ყველა თანამშრომელი, სავარაუდოდ, ინახავს მონაცემებს და ინფორმაციის კონფიდენციალურობას და იცავს მას მესამე პირების მიერ არასანქცირებული წვდომისგან.

კონფიდენციალური ინფორმაცია ჩვენი კომპანიის შესახებ ძალიან მგრძობიარეა და არ შეიძლება გამჟღავნდეს ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი კონფიდენციალობა იქონიებს არაპროპორციულად არახელსაყრელ ზემოქმედებას ყოფილი თანამშრომლის კარიერაზე, მას შეუძლია მოითხოვოს ამ ვალდებულებისგან განთავისუფლება. შესაბამისმა თანამშრომელმა უნდა დაამტკიცოს და დაასაბუთოს ასეთი პრეტენზია ვიორვაგ ფარმასთან.

### ანგარიშგება

საჯაროდ ხელმისაწვდომი ყველა ინფორმაცია უნდა იყოს კანონიერი და შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ინფორმაცია პრინციპში საზოგადოებას უნდა მიაწოდოს



მხოლოდ უფლებამოსილმა თანამშრომლებმა. ნებისმიერი, ვინც აცხადებს თავს ვიორვაგ ფარმას წარმოადგენლად ავტორიზაციის გარეშე, ამას აკეთებს როგორც კერძო პირი. კომპანიის სათაო ოფისის კორპორაციული შესაბამისობის ჯგუფმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს რეაგირება საგამომიებო ორგანოებიდან მიღებულ ნებისმიერ მოთხოვნაზე (მაგ. პოლიცია, საგადასახადო ინსპექცია, საჯარო პროკურორები).

## **მონაცემთა დაცვა**

პირადი მონაცემები, რომლებიც ინახება კომპანიის მიერ, დაცული უნდა იყოს მესამე პირების არასანქცირებული წვდომისგან კანონის შესაბამისად. ვიორვაგ ფარმამ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც აქვთ წვდომა პირად მონაცემებთან, უნდა უზრუნველყონ ასეთი მონაცემების დაცულობა.

## **თანამშრომლობა მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან და ბიზნეს პარტნიორებთან**

საქმიანი ურთიერთობები ჩვენს კლიენტებთან, მომწოდებლებთან და ბიზნეს პარტნიორებთან ეყრდნობა ეთიკურ ქცევას. ჩვენ ვმართავთ ჩვენ კომპანიას ღიად, პატიოსნად და ეთიკური პასუხისმგებლობის გრძნობით. ჩვენ ქმედებები დაფუძნებულია სამართლიანობაზე, კეთილსინდისიერებაზე და წესიერებაზე. ჩვენ ვამბობთ რასაც ვგულისხმობთ და ვაკეთებთ იმას, რასაც ვამბობთ.

ეს არის ის, რასაც ჩვენ ველოდებით ყველა თანამშრომლისგან და ყველა მათგანისგან ვისთან გვაქვს საქმე.

## **ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება**

ჩვენ მხარს არ ვუჭერთ პირად ურთიერთობებს კლიენტებთან, მომწოდებლებთან ან კონკურენტებთან, რომელთაც შეუძლიათ ვიორვაგ ფარმას სახელით გავლენის მოხდენა ჩვენს გადაწყვეტილებებზე.

ჩვენი თანამშრომლები თავს იკავებენ კონფლიქტისაგან თავიანთ პირადი ინტერესებსა და კომპანიის ინტერესებს შორის. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ჩვენი გადაწყვეტილებები ეყრდნობოდეს კერძო ინტერესებს ან პირადი ურთიერთობებს. ურთიერთობებმა, რომლებიც ასახვას ჰპოვებს პირად მატერიალურ ან არამატერიალურ ქონებაზე, არ უნდა იქონიოს გავლენა კონტრაქტების დადებასა და საქმიანი ურთიერთობების დაწყება დასრულებაზე. ეს ასევე ეხება ნებისმიერ პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს.

ამ კონტექსტში თანამშრომლებს შეუძლიათ მიიღონ მხოლოდ სხვა დამატებითი სამუშაო ვიორვაგ ფარმასთან წინასწარი თანხმობით. ეს განსაკუთრებით ეხება მომწოდებლებსა და



კლიენტებს და იმ კომპანიებს, რომლებიც ვიორვაგ ფარმას კონკურენტებად მიიჩნევიან. ეს ასევე ვრცელდება სააქციო კაპიტალის 10% -ზე მეტი პროცენტის მფლობელებზე.

კომპანიის მენეჯმენტის წინასწარი თანხმობა აუცილებელია ნებისმიერი ტრანზაქციისთვის იმ კომპანიებთან, სადაც ვიორვაგ ფარმას თანამშრომელი, მისი მეუღლე, პარტნიორი ან ახლო ნათესავი ფლობს აქციას ან ასრულებს მმართველის ფუნქციას. ეს ასევე ვრცელდება ვიორვაგ ფარმას კერძო კონტრაქტორებზე.

ყველა თანამშრომელმა უნდა შეატყობინოს ხელმძღვანელობას იმ ინტერესთა კონფლიქტების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს მათზე.

### კორუფცია და მექრთამეობა

დაუშვებელია, პირადი უპირატესობის ან შეღავათიანი მოპყრობის ყველა ფორმა ფიზიკურ პირებთან, რომელიც ითვალისწინებს კონტრაქტის გაფორმებას, მიღებას ან შესრულებას. ამ თვალსაზრისით, საქმე ეხება ნებისმიერ პირად სარგებელს, რაზეც მიმღებს არ აქვს უფლება. ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, საჩუქრები ან მოსაწვევები. ვიორვაგ ფარმას თანამშრომლები გავლენას არ მოახდენენ პოტენციურ კლიენტზე კონტრაქტის გაფორმების მიზნით.

თანამშრომლები ასევე არ მიიღებენ რაიმე საჩუქარს, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მათ პირად საქმიან გადაწყვეტილებებზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, გადაწყვეტილების მიღებაზე ნამდვილად იქონია მნიშვნელობა მომსახურების გაწევამ თუ მომავალში იქონიებს. ასეთი გავლენის გამოჩენის ალბათობაც კი თავიდან უნდა იქნას აცილებული.

საჩუქრები და მოსაწვევები მიიღება და გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს წარმოადგენს თავაზიანობის გამოხატულების ჟესტს, რაც მიღებულია ბიზნესის პრაქტიკაში. ეროვნული კანონები და პრაქტიკა უნდა იქნას დაცული და შესრულებული.

ფული არასდროს არ შეიძლება იქნეს შეთავაზებული, მიცემული ან მოთხოვნილი როგორც საჩუქარი. საჯარო თანამდებობის პირებს არ შეიძლება მიეცეს, საჩუქრები ან გაეწიოს რაიმე სხვა სახის მომსახურება.

გადაწყვეტილებები ჩვენს ბიზნეს პარტნიორებთან ბიზნეს ტრანზაქციების შესახებ, ეფუძნება მხოლოდ ობიექტურად შეფასების ფაქტებს, ისეთებს როგორცაა ხარისხი, ფასი და შესრულება. ამ გადაწყვეტილებებზე გავლენას არ მოახდენს საჩუქრები, შემოწირულობები, მექრთამეობა ან კორუფცია. პატიოსნების და კეთილსინდისიერების პრინციპები უნდა იქნეს დაცული ჩვენს ყველა საქმიან ურთიერთობებში.

### ფულის გათეთრება

იმისათვის რომ შევეწინააღმდეგოთ ფულის გათეთრებას, აქტივები შეძენა უნდა მოხდეს მხოლოდ იურიდიული გზით. ამის გამო, ნაღდი ფულით ანგარიშსწორება არ უნდა მოხდეს. სერიოზული გადახდები ნაღდი ფულით, ანუ 10 000 ევროზე მეტი ღირებულების გადახდა,

შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის ხელმძღვანელობის თანხმობით. აკრძალულია ანონიმური ბიზნეს გარიგებები. საეჭვო ბიზნესპარტნიორების და/ან გარიგებების შესახებ უნდა ეცნობოს შესაბამისობის ოფიცერს ან კომპანიის ხელმძღვანელობას.

## სოციალური პასუხისმგებლობა

### ეკოლოგიურად მეგობრული ბიზნეს პრაქტიკა

ჩვენ ვისწრაფით მდგრადი მეწარმეობისკენ. ჩვენ ვიცავთ გარემოს დაცვის მოქმედ კანონებსა და წესებს. ჩვენ ვისწრაფით გავაუმჯობესოთ ეკოლოგიური მაჩვენებლები, ნოუ-ჰაუს, საუკეთესო პრაქტიკისა და ტექნოლოგიების გადაცემის მხარდაჭერით. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მინიმუმამდე შევამციროთ ჩვენი ბიზნეს პრაქტიკის გავლენა გარემოზე, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ჩვენ ამ მიზანს მივალწევთ ენერჯისა და წყლის რესურსების ეკონომიურად გამოყენებით, კერძოდ, ყოველდღიური მუშაობის დროს სახარჯი მასალის ეკონომიური გამოყენებით, ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილებით, შეფუთვის გამოყენებისა და ნარჩენების არსებობის შეზღუდვით.

### წვლილი მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის

ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობა ორიენტირებულია მომარაგების ჯაჭვის სხვა მხარეებზე, ისევე როგორც ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ასპექტზე. სხვა მხარეებთან (მომწოდებლებთან, კლიენტებთან, მომხმარებლებთან, თანამშრომლებთან და ფართო საზოგადოებასთან) ურთიერთობებით, ჩვენ ვუზრუნველყოფთ, რომ ვიორვაგ ფარმა ჯგუფის სოციალური საქმიანობა ეფექტურად უწყობს ხელს გაუმჯობესებას (ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით) და სასარგებლოა კომპანიისა და ფართო საზოგადოებისთვის. ჩვენ ველით, რომ ჩვენი მომწოდებლები მუშაობენ იმისათვის, რათა მიაღწიონ თავიანთი პროდუქციის სისტემურ გაუმჯობესებას სოციალურ, ეკოლოგიურ და ეთიკურ ხარისხში და ჩვენ მხარს ვუჭერთ მათ ძალისხმევას ამის მიღწევისთვის.

## წესების დანერგვა და შესრულება

აქ მოცემული წესების ნებისმიერი დარღვევა, შესაძლოა ფინანსურად დამაზიანებელი იყოს ჩვენს კომპანიისთვის, მის რეპუტაციისათვის ან ორივე მათგანისთვის. ცალკეულ თანამშრომლებს შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროთ მიყენებული ზიანისთვის ან სისხლისსამართლის წინაშე წარსდგნენ. ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვანია ამ დებულებების დაცვა. მენეჯერები და თანამშრომლები, რომლებიც არღვევენ კანონს, შინაგანაწესს ან ქცევის კოდექსს, უნდა მოელოდნენ დისციპლინურ ან შესაძლოა სამართლებრივ შედეგებს.





თუ რაიმე შეკითხვები გაქვთ ან რაიმე გაურკვეველია, გთხოვთ, მიმართოთ თქვენს ზედამხედველს ან პასუხისმგებელ შესაბამისობის ოფიცერს.

გთხოვთ, გვესაუბრეთ. ეს ეხება ჩვენი კომპანიის დაცვას!

ვიორვაგ ფარმა ჯგუფის ხელმძღვანელობა